განკარგულება:**g-49.49210293**
თარიღი:**29/01/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821018118; 18/01/2021) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 23 ერთეულს (მერის მრჩეველი –1, მერის თანაშემწე –2, მერის მძღოლი–1, მძღოლი–1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი–5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, კონსულტანტი –3, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – 1, მდივანი–1, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) ფარგლებში კოორდინატორის-1, კოორდინატორის ასისტენტის-1, ტექნიკური მენეჯერის-1, PR მენეჯერის-1, საფინანსო მენეჯერის-1 და ოფისის მენეჯერის-1), რაც 18 ერთეულით სცილდება კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რაოდენობა შეადგენს 7 ერთეულს (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე–1, მძღოლი–2, დამლაგებელი–2, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი –1), რაც ორი ერთეულით სცილდება კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებს. შესაბამისად, აუცილებელია დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3

კონსულტანტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 მერის მდივნის - ერთი წლის ვადით, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე - კოორდინატორის, კოორდინატორის ასისტენტის, ტექნიკური მენეჯერის, PR მენეჯერის, საფინანსო მენეჯერის და ოფისის მენეჯერის 15 თვის ვადით მიღების (ხელშეკრულების გაგრძელების), ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის – ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ“.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №36 190 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი